ხუთი ყოველდღიური ლოცვა, პარასკევის ლოცვა შემდეგ პარასკევის ლოცვამდე და რამადანის მარხვა შემდეგ რამადანამდე, შლის მათ შორის არსებულ მცირე ცოდვებს, თუ ადამიანი დიდ ცოდვებს ერიდებოდა

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ხუთი ყოველდღიური ლოცვა, პარასკევის ლოცვა შემდეგ პარასკევის ლოცვამდე და რამადანის მარხვა შემდეგ რამადანამდე, შლის მათ შორის არსებულ მცირე ცოდვებს, თუ ადამიანი დიდ ცოდვებს ერიდებოდა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ დღის და ღამის ხუთი სავალდებულო ლოცვა, ყოველკვირეული პარასკევის ლოცვა და ყოველწლიური რამადანის მარხვა შლის მათ შორის არსებულ მცირე ცოდვებს იმ პირობით, თუ ადამიანი თავს არიდებს დიდ ცოდვებს, რაც შეეხება დიდ ცოდვებს, როგორიცაა ზინა (მრუშობა) და ალკოჰოლის სმა, ისინი არ იშლება თუ არა მონანიებით, რომ მეორედ აღარ ჩაიდენს ადამიანი.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3591